ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

საქართველოს რევოლუციის მუზ[ეუმი]
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИ[И]

დამატების № 388. ხუთშაბათი, 16 მარტი, 1906 წ. გაზეთის № 3028

# ტაინი სოვეტნიკის სიზმარი

პოლიტიკური ბუფონადა ერთ მოქმედებად ი. ნ. პოტაპენკოსი

**მოქმედნი პირნი**

**კრუტოუზდოვი**—ტაინი სოვეტნიკი
**ცოლი**
**ვაჟი**
**ქალი**
**სიძე**—ახალგაზდა მოხელე
**ლაქია**
სხვა-და-სხვა პირნი სიზმარში.

კრუტოუზდოვის კაბინეტი. მარჯვნივ კედელთან სდგას საწერი სტოლი, იმის წინ სავარძელი და საქანაო სკამი. სცენაზედ სიბნელეა. არავინ არ არის. საღამოს ხუთი საათია.

I

ისმის ზარის ხმა. შემოდის ლაქია და ანთებს ელექტრონის ლამფას. უკან მოსდევს კრუტოუზდოვი. აცვია ვიც-მუნდირი ვარსკვლავით და ორდენით ყელზედ. ხელში უჭირავს პორტფელი.

**კრუტ.** (მიდის სტოლთან, სდებს პორტფელს და შიგ ხელებს ურევს) აკიმ! კურიერი აქ არის?

**ხკიმი** აქ გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ!

**კრუტ.** (იღებს პორტფელიდან ქაღალდებს, ჯდება და კითხულობს). მოიცადოს.

**ლაქია.** მესმის, ბატონო!

**კრუტ.** შენ ჯერ არ გაფიცულხარ?

**ლაქ.** სულაც არა, თქვენო აღმატებულებავ!

**კრუტ.** რატომ?

**ლაქ.** იმიტომ, თქვენო აღმატებულებავ, რომ სწორე შეხედულება მაქვს.

**კრუტ.** ჰმ! კარგია, კარგია. წადი (ლაქია გადის მარჯვნივ კარებიდან შემოდის ვაჟი)

II

**ვაჟი.** Bonjour, mon pere! თქვენ სულ სწერთ და სწერთ. (ჰკოცნის ლოყაზედ).

**კრუტ.** (განაგრძობს წერას). ოჰ! ლიცეისტო, ბედნიერი ხარ: შენ ჯერ არა ხარ სახელმწიფო საქმეში ჩაბმული.

**ვაჟი.** მაგრამ იმედი მაქვს ვიქნები.

**კრუტ.** ვინ იცის! შეიძლება ერთი კვირის შემდეგ სახელმწიფო საქმეებს განაგებდნენ სანკიულოტები, წარჩინებულნი კი ქუჩებს კირწყლავდნენ. (გაბრაზებული დაურტყამს სტოლს ხელს) მაგრამ არა, არა და არა,—ეს არ მოხდება. გესმის თუ არა, ჩვენ ამის ნებას არ მივცემთ! ჩვენ დავიცავთ იმის სურვილის მიუხედავათ, გესმის?

**ვაჟი.** მამა, რისთვის მიყვირით? მე ხომ თქვენის წყალობით მათსავით სანკიულოტი არა ვარ.

**კრუტ.** ოჰ, მაპატივე. ნერვები საშინლად მოშლილი მაქვს. იცი შენ, ეს ამბები... ყოველდღე, ყოველ საათს... შენ ჯერ არ გაფიცულხარ?

**ვაჟი.** მამა, აბა რათა, რის გულისათვის? პირიქით, მე ფული მინდა გთხოვო .. მჭირდება ერთი...

**კრუტ.** ჰოო, მაშ შენ ჯერ არ გაფიცულხარ... კარგი, კარგი... მერე. თუმცა კი ეხლა ფულს უნდა გაუფრთხილდეს კაცი. შესაძლოა რომ, რიცხვი ოცი კალენდრიდან ამოიშალოს.

**ვაჟი.** როგორ თუ ამოიშალოს?

**კრუტ.** ისე, ცხრამეტის შემდეგ პირდაპირ ოცდა ერთი იყოს.

**ვაჟი.** მამა, ეგ წარმოუდგენელია. ჩვენ დაპირებული გვაქვს იმპერიის ძირითად კანონების შეურყევლობა, რიცხვი ოცი ხომ უპირველესი ძირითადი კანონია იმპერიისა. თუ ეს მოისპობა, მაშინ რა საჭიროა იურისპრუდენციის შესწავლა (შემოდიან სიძე და ქალი).

III

**ქალი.** Bonsoir papa! მე და მაქსი დღეს თქვენთან ვსადილობთ.

**კრუტ.** ძალიან კარგი, დიდათ მოხარული ვარ.

**სიძე.** თქვენ მაინც სწერთ და სწერთ ქაღალდებს. ტყუილად. სულ ერთია აღარავინ შეასრულებს.

**კრუტ.** შენ, mon cher, ძალიან ბევრს რადიკალურს გაზეთებს კითხულობ?

**სიძე.** არავითარ გაზეთს არ შეუძლიან იქონიოს გავლენა ჩემს მტკიცე შეხედულობაზედ.

**კრუტ.** მიუხედავად ამისა, შენ მაინც უარი სთქვი ვიცეგუბერნატორის ადგილზედ, რომელიც მე ისეთის წვალებით გიშოვე.

**სიძე.** აბა მიშოვნეთ გუბერნატორის ადგილი და მაშინ გაიგებთ, უარს ვიტყვი თუ არა.

**ვაჟი.** ეხლა ჩვეულებაშია გუბერნატორების ყირამალა გადატრიალება.

**კრუტ.** ჰო, მაგრამ მალე ეს ასე აღარა იქნება (სტოლს ხელს დაარტყამს) გესმით, თქვენ? ეს ასე აღარ იქნება, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. ჩვენ ისე მაგრები ვიქნებით, როგორც ფოლადი.

**ქალი.** მამა, ჩვენ რას გვიყვირით, ჩვენ რა შუაში ვართ?

**კრუტ.** ჰო, მართალია, მართალი... მე ნერვებ აშლილი ვარ... შენ ჯერ არ გაფიცულხარ?

**ქალი.** ეგ კი სწორედ უცნაური იქმნებოდა, რადგან მე ჩემს სიცოცხლეში არაფერი არ გამიკეთებია. (შემოდის ცოლი).



**ელს ვიტე მარიო.**

(იხ. დღევანდ. „ცნ. ფ.“)

IV

**ცოლი.** ოჰ, შენ მოსულხარ კიდეც! (ჰკოცნის თავზედ). ერთის საათის შემდეგ ვსადილობთ. შენ ხომ აღარსად წახვალ?

**კრუტ.** არა, არა, საშინლად დავიღალე: მინდა სადილს წინად სავარძელში ნახევარ საათით წავიძინო. აჰა, წერტილიც დავუსვი. (რეკავს. შემოდის ლაქია). მიეცი კურიერს და უთხარი, გადასცეს კანცელარიის გამგეს. ძალიან საჩქაროა.

**ლაქ.** მესმის, თქვენო აღმატებულებავ! (გადის).

**კრუტ.** (დგება) უჰ, როგორ დავიღალე; თერთმეტ საათიდან ხუთამდის ვთხზავდი მთავრობის გასამაგრებელ საშუალებათა პროექტს.



სამეგრელო.—მეგრელის მოსახლეობა.



სამეგრელო.—ხიდი მდ. ინგურზე.

**სიმე.** მთავრობას ამაგრებდით და საკუთარი ნერვები კი შეირყიეთ.

**კრუტ.** ეს არაფერს არ ნიშნავს.

**ცოლი.** მაშ დაისვენე. ჩვენ მარტოს დაგტოვებთ.

**კრუტ.** ჰო, ჰო, merçi მხოლოდ ნახევარ საათით. შენა, ჩემო მეგობარო, ჯერ არ გაფიცულხარ?

**ცოლი.** რა სისულელეა, mon ange! მოსარეცხე დედაკაცი ხომ არ გგონივარ.

**კრუტ.** ჰო, ჰო, მოსარეცხე დედაკაცებიც... ამბობენ, ძიძებიც აპირობენო... ოჰ, ღმერთო, რა ეშველებათ ჩვენს ბავშვებს... ზოგიერთ კანცელარიაში მოხელენი ცუდის თვალით უყურებენ თავიანთ უფროსებს (თვალებს აბრიალებს), მაგრამ, არა, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ! გესმით, ვერ მოვითმენთ!

**ცოლი.** რასა ყვირი, mon ange, მე ხომ არც ძიძა ვარ არც მოხელე.

**კრუტ.** ოჰ, ღმერთო ჩემო... მე ისე ნერვებ აშლილი ვარ... ეს ამბები... ხანდისხან მგონია... არა, მართლა მითხარით, მე, მე თითონ... არ გავიფიცე?

**ცოლი.** რას ამბობ მაგას, მაშინებ! მოისვენე, ჩვენ წავალთ.

**კრუც.** (დაჯდება საქანაო სკამზედ, სტოლის მარჯვნივ). ჰო, ჰო... ნახევარ სათით... ჩემი გონება შეშფოთებულია... ძიძები... მოახლენი... ბავშვები... (თვალებს ხუჭავს. ყველანი გადიან ფრთხილად. ცოლი სანთელს აქრობს. სცენაზედ ბნელა)

**კოტე ხახანაშვილი.**

(დასასრული იქნება)

# მეურნეობა

**მოთხრობა ოკტავ მირბოსი.**

(დასასრული*)

ერთის საათის განმავლობაში მივიდოდით ამტვერებულ და გახურებულ მიწაზე. მივადექით ერთ ვრცელ მინდორს. გზიდან იწყებოდა, თან და თან მაღლდებოდა და თავდებოდა ტყესთან... კლასიკურ ტრაგედიების მომქმედ პირსავით გაშეშდი და გარინდებული ვუყურებდი... იონჯა იყო დათესილი და ამ იონჯის შორის სამყური ისე გაერიათ, რომ ქაღალდზე დაწერილსავით გამოეყვანათ მკაფიოდ ასოები და ყველანი ერთად შეადგენდნენ თეოდულ ლეშას სახელსა და გვარს. და არამცთუ წაკითხვა შეიძლებოდა, კაცს ეგონებოდა, ცოცხალიაო. ნიავი ბალახის კენწერს აქანავებდა და ზღვის ტალღებსავით არხევდა. ასოები ხან გაიბუშტებოდა, ხანაც

*) იხ. „დამატება“ № 387

შეიკუმშებოდა, იმის და მიხედვით, ნიავის ძალა იკლებდა თუ იმატებდა. ლეშა სახეგაბრწყინებული უყურებდა თავისს გვარს. გვარი კი თრთოდა. თამაშობდა და ათასად იხრებოდა. შიგა და შიგ გარეული ყაყაჩო მწვანე ზღვას ცაზე მოციმციმე ვარსკვლავსავით ხატავდა. ლეშას უხაროდა თავის გვარის ყურება. ალბად გამვლელნი აცქერდებოდნენ და მოკრძალულებით ჰკითხულობდნენ ამ გვარს.. მოხიბლული და ტყვედ ქმნილი ყმა ტკეპნით იმეორებდა ყოველ მარცვალს:

— თეოდულ ლეშა! თეოდულ ლეშა!

სახე ბედნიერებით უბრწყინავდა. მომიბრუნდა და მითხრა:

— ხომ კარგია? ჰა, როგორ მოგწონს?.. წარმოიდგინე, პარიზიდან მოვიყვანე ერთი განთქმული მებაღე და იმას გავაკეთებინე, თორემ აქ არავის შეუძლია ამისთანა რისამე გაკეთება... განა რო თავმოსაწონებელია, როცა ხედავ შენს სახელს ასეთნაირად გაკეთებულს!.. სხვა რომ დაინახავს, უეჭველია, იტყვის, ამის გამკეთებელი უბრალო ვინმე არა ყოფილაო. გარდა ამისა, ყველა რომ ასე აწერდეს ყანაში თავისს სახელს, მაშინ მამულის გამო ერთი მეორეში დავა



სამეგრელო.—საყდარი სოფელ ხუდინში.



სამეგრელო.—მეგრელის სახლის მეორე მხარე.

არავის აუტყდებოდა... ეგ რა; ისეთი აზრები მაქვს კიდევ, რომ ქვეყანას გავაკვირვებ!.. აბა წამომყევი.

გადავლახეთ იონჯით დათესილი მინდორი, გავიარეთ წაბლნარი და შევედით ტყეში. იქიდან გავედით განიერ ხეივანში. ასე იტყოდით, სადმე პარკის გაწმენდილი ხეივანიაო. ამ დროს ერთი საცოდავი დედაკაცი შემოგვხდა. ერთი გუდურა ძირნაყარი შეშა მხარზე ჰქონდა გადადებული. ორი ფეხშიშველი და ძონძებში გახვეული ბავშვი უკან მისდევდა. ლეშამ ცეცხლი მოიკიდა, თვალები აენთო, ჯოხი ამართა და საცოდავ ქალს შეუტია.

— შე ქურდბაცაცავ, შე მაწანწალავ, — დაუყვირა, — აქ რა გინდოდა, რო მოსულხარ? ვინ მოგცა ნება შეშა მოგეკრიფა ჩემს ტყეში, შე საზიზღარო, შე მუდრეგო?.. აქვე დაყარე... არ გესმის, დაჰყარე-მეთქი?.. გიბრძანებ, ახლავე დაჰყარე.

დაავლო ხელი თასმას, რომლითაც გუდურა იყო შეკრული, და ისეთნაირად შეანძრია, რომ საწყალი ქალი გუდურიანად გაგორდა.

— არ იტყვი, ვინ მოგცა ნება ჩემს ხეივანში შენის ჭუჭყიან ფეხებით შემოსულიყავ? მითხარი, ვინ მოგცა ნება? იქნება გგონია, რომ შენთვის გავასუფთავებინე ჩემი ხეივანი, შე ქოფაკო, შე ბებერო, შენა?.. არ გესმის, მიპასუხე-მეთქი, როცა გელაპარაკები!

მიწაზე გაგორებული დედა-კაცი კვნესოდა და ეხვეწებოდა.

— ჩემო ბატონო, ისემც ღმერთი გადღეგრძელებსთ. შეშის ქურდობას როგორ გაგიბედავდით, ყოველთვის მიკრფეია ძირნაყარი შეშა, მაგრამ კაცს ხმა არ გაუცია, დამშლელი არავინ მყოლია. ყველას ვებრალებოდი. ან ჩემისთანა საცოდავს და უბედურსა ვინ არ შეიბრალებს, ჭირი მოგჭამეთ, ბატონო...

— რაო, არავის დაუშლიაო?—წამოიყვირა ლეშამ და ჯოხი გადაუქირა...—მე არა მხედავ, მე? ხომ იცი, ვინცა ვარ! ლეშა! ვოპერდიუს პატრონი... ვერ უყურებ ამ ქურდს, ამ მაწანწალას!..

ჯოხი ტლაშუნით გადადიოდა დედაბრის ზურგზე. საცოდავი ქალი ტიროდა, ცდილობდა ჯოხი აეცდინა, იძახდა ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთო. შეშინებულმა ბავშვებმა კი გულის გამგმირავი ტირილი მორთეს. დედაბრის კვნესასთან ერთად ეს სიტყვები გაისმოდა:

— ვაიმე! ვაიმე! შე-ავგულა, ვინ მოგცა ნება, მე მცემო.. ვაიმე! ვაიმე!.. მოსამართლესთან გიჩივლებ და შენს თავს სატუსაღოში დავამწყვდევინებ·.. ვაიმე! ვაიმე! ჟანდარმებს ვეტყვი ყველაფერს·..

ჟანდარმების ხსენებაზე ლეშა ერთბაშად შეჩერდა.·. მისს სისხლით გავსებულ თვალებში შიში გამოიხატა და წამოჭარხლებული სახე ერთბაშად გაუფითრდა. საფულედან ოქროს ფული ამოიღო, თითქმის ხვეწნით დედაკაცს ხელში ჩააჩეჩა.

— აი, ოც-ფრანკიანი,—უთხრა ლეშამ...—ხომ ხედავ, ოცი ფრანკია! ჰა, გამომართვი... ხომ კარგია ოცი ფრანკი?.. ნებას გაძლევ, შეშა იმდენი მოაგროვო, რამდენიც შეგეძლოს... ხომ ხედავ ოც ფრანკს? როცა შემოგელიოს, მოდი და კიდევ მოგცემ. ეხლა, ნახვამდე.

კოშკში ისე დავბრუნდით, რომ ხმა არ ამოგვიღია.

ჩემის წასვლის დროც მოახლოვდა, როცა ეტლში ვჯდებოდი, ლეშამ მითხრა:

— ხომ დაინახე ტყეში ეს საცოდავი დედაკაცი?.. ხომ? მისი ქმარი დეპუტატად არჩევნების დროს თეთრ კენჭს ჩამიგდებს და ერთის კენჭით მეტი ამომივა. მაშ რას იზამ? დღეს სხვა გზა არ არის, ხალხი უნდა მოვისყიდოთ.

გულუბრყვილოდ გაიცინა, კბილები გამოაჩინა და დაუმატა:

— და თანაც ვცემოთ ხოლმე!..

თ. ს.



სახელმწიფო სათათბიროში მიმავალი გზა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 374